ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის იანვრიდან დღემდე პერიოდს.

კომისიის შემადგენლობაში არის 9 დეპუტატი:

1. ოთარ ლურსმანაშვილი
2. ავთანდილ კვინიკაძე
3. დავით კიკნაძე
4. უშანგი ბერაძე
5. პავლე კიკალიშვილი
6. მარინე ხვედელიძე
7. შალვა ლურსმანაშვილი
8. ქეთევან ზუმბაძე
9. ბაქარ ბარბაქაძე

კომისია თავისი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების“ შესაბამისად.

კომისია სხდომებზე განიხილავდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ და საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ასევე თავის კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებდა საკრებულოს სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისობას.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 15 სხდომა, აქედან 12 მორიგი, ხოლო 3 რიგგარეშე.

მოახდინა აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისია აქტიურად იყო ჩართული 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში და დამტკიცებაში , საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და გათვალისწინების მიზნით მივმართეთ მერიას.

კომისიამ განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, არნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციები გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის მერაში და მათი გამოსწორების მიზნით გათარებული ღონისძებების შესახებ.

კომისიამ განიხილა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობებში ცვლილებები, ესენი შეეხებოდა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. შესაბამისი დასკვნები წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

კომისიამ ასევე განიხილა საკრებულოს უმრავლესობის შექმნის საკითხი მოგეხსენებათ თვითმმართველობის კოდექსში შევიდა ცვლილება სადაც დამატებულ იქნა საკრებულოებში უმრავლესობა და განსაზღვრული იქნა უმრავლესობის ლიდერი, აღნიშნულთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა უმრავლესობა, წარმოდგენილია სია სადაც ხელს აწერს საკრებულოს 24 წევრი

გაწევრიანების მიზნით. უმრავლესობას არჩეული ყავს ლიდერი თავით კიკნაძე, წარმოდგენილია შესაბამისი ოქმი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული წერილის შესაბამისად კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამაზი ლომიძისათვის უფლებამოსილების შესწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

კომისიამ განიხილა N48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 08 აგვისტოს N 02/ 2022 განკარგულების გაცნობა „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის გათავისუფლების ცნობად მიღების შესახებ და შემდეგ ახალი თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, შიდა აუდიტისა და მონიტორინის სამსახურის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, შესყიდვების სამსახურის ანგარიშები და საკრებულოს წარუდგინა დასკვნები და მოსაზრებები.

აქვე მინდა ავღნიშნო რომ კომისიის წევრების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხშირ გაცდენებს და ქვორუმის არ არსებობის გამო სხდომის ჩაშლას, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომისიის ყველა წევრს.

მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს და საკრებულოს აპარატს გუნდური და მჭიდრო კომუნიკაციისთვის ასევე, კომისიის გამართულად მუშაობისთვის ხელშეწყობისთვის.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი